

შპს „ქართული ვაჭისა და ღვინის კომპანია“ და შვილობილები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრისთვის

შპს „ქართული ვაზისა და ღვინის კომპანია“ და შვილობილები

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	4	3,036,261	3,902,240
ამონაგების თვითღირებულება	5	(2,458,270)	(3,744,972)
საერთო მოგება		577,991	157,268
გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები	6	(654,494)	(1,010,831)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(1,007,428)	(1,433,380)
ფინანსური შემოსავალი	9	559,714	140,547
ფინანსური ხარჯი	13	(1,818,523)	(2,544,200)
საგრანტო შემოსავალი		31,904	24,812
სხვა შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა		119,478	(685,245)
საკუროსო სხვაობით გამოწვეული (ზარალი)/მოგება, წმინდა		(1,473)	672,626
ხარჯი გადასახადამდე		(2,192,831)	(4,678,403)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის ზარალი		(2,192,831)	(4,678,403)
მიკუთვნებულია:			
მშობელი კომპანიის აქციონერებს		(2,165,379)	(4,680,344)
არამაკონტროლებელ წილს		(27,452)	1,941
		(2,192,831)	(4,678,403)

ხელმძღვანელობის სახელით:



მარიამ ჭანტურია
დირექტორი

თბილისი, საქართველო
30 სექტემბერი 2025

შპს „ქართული ვაზისა და ღვინის კომპანია“ და შვილობილები

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრისთვის
(ქართულ ლარში)

აქტივები:	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	1,946,623	2,091,657
არამატერიალური აქტივები		17,835	42,816
გაცემული სესხები, გრძელვადიანი	9	7,879,333	7,164,014
სულ გრძელვადიანი აქტივები		9,843,791	9,298,487
მიმდინარე აქტივები:			
მარაგები	10	3,527,936	3,765,622
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	11	1,532,888	1,653,745
გადახდილი ავანსები		38,983	41,293
ფული და ფულის ექვივალენტები		386,050	117,476
სულ მიმდინარე აქტივები		5,485,857	5,578,136
სულ აქტივები		15,329,648	14,876,623
ვალდებულებები და კაპიტალი			
კაპიტალი:			
შეტანილი კაპიტალი	12	4,044,913	4,241,902
დაგროვილი ზარალი		(22,073,535)	(19,908,156)
ჯგუფის მფლობელებისთვის მიკუთვნებული (დაგროვილი ზარალი)/კაპიტალი		(18,028,622)	(15,666,254)
არამაკონტროლებელი წილი		(14,946)	12,506
სულ (დაგროვილი ზარალი)/კაპიტალი		(18,043,568)	(15,653,748)
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
ნასესხები სახსრები, გრძელვადიანი	13	10,259,120	17,756,520
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		10,259,120	17,756,520
მიმდინარე ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები, მოკლევადიანი	13	12,766,204	2,051,849
სავაჭრო და სხვა კრედიტული დავალიანება, მოკლევადიანი	14	9,269,294	10,235,148
გადასახდელი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		321,379	250,304
მიღებული ავანსები		757,219	236,549
სულ მიმდინარე ვალდებულებები		23,114,096	12,773,850
სულ ვალდებულებები		33,373,216	30,530,370
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:		15,329,648	14,876,622

შპს „ქართული ვაზისა და ღვინის კომპანია“ და შვილობილები

კონსოლიდირებული კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	შეტანილი კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	მშობელის აქციონერებისთვის ს მიკუთვნებული დაგროვილი ზარალი	არამაკონტრო ლებელი წილი	სულ დაგროვილი ზარალი
ნაშთი 1 იანვარი 2022		3,549,001	(14,271,933)	(10,722,932)	16,908	(10,706,024)
სულ წლის სრული ზარალი		-	(955,879)	(955,879)	(6,343)	(962,222)
დამატებითი შენატანი კაპიტალში	12	1,125,919	-	1,125,919	-	1,125,919
კაპიტალის შემცირება	12	-	-	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2022		4,674,920	(15,227,812)	(10,552,892)	10,565	(10,542,327)
სულ წლის სრული ზარალი		-	(4,680,344)	(4,680,344)	1,941	(4,678,403)
დამატებითი შენატანი კაპიტალში	12	-	-	-	-	-
კაპიტალის შემცირება		(433,018)	-	(433,018)	-	(433,018)
ნაშთი 31 დეკემბერი 2023		4,241,902	(19,908,156)	(15,666,254)	12,506	(15,653,748)
სულ წლის სრული ზარალი		-	(2,165,379)	(2,165,379)	(27,452)	(2,192,831)
დამატებითი შენატანი კაპიტალში	12	1,000,000	-	1,000,000	-	1,000,000
კაპიტალის შემცირება		(1,196,989)	-	(1,196,989)	-	(1,196,989)
ნაშთი 31 დეკემბერი 2024		4,044,913	(22,073,535)	(18,028,622)	(14,946)	(18,043,568)

შპს „ქართული ვაზისა და ღვინის კომპანია“ და შვილობილები

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრისთვის
(ქართულ ლარში)

	2024	2023
საპერაციო საქმიანობაში (გამოყენებული)/მიღებული ფულადი სახსრები	(1,128,634)	7,200,540
საინვესტიციო საქმიანობაში მიღებული/(გამოყენებული) ფულადი სახსრები	133,843	(21,887)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) ფულადი სახსრები	1,272,606	(7,156,194)
ფულისა და ფულის ექვივალენტების წმინდა მატება	277,815	22,459
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	117,476	57,083
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	(9,241)	37,934
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	386,050	117,476

შპს „ქართული ვაზისა და ღვინის კომპანია“ და შვილობილები

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ქართული ვაზისა და ღვინის კომპანია“ („კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნდა 2014 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის რეგისტრირებული ოფისის მისამართია დ. აღმაშენებლის ქ. # 138 ა, თბილისი, საქართველო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა წარმოადგენს ბრენდული ღვინის წარმოებას და დისტრიბუციას საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. 2017 წლის ივნისში კომპანიამ დააფუძნა 100% -იანი წილის შვილობილი შპს „შილდა დისტრიბუცია“ და 51% -იანი წილის შვილობილი შპს „შილდა ჯი.ვი.“ ორივე შვილობილი კომპანია მონაწილეობს შპს „ქართული ვაზისა და ღვინის კომპანიის“ მიერ წარმოებული საქონლის დისტრიბუციაში.

კომპანია არის ჯგუფის ძირითადი კომპანია და აერთიანებს ორივე შვილობილ კომპანიას თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში;

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს ფლობდნენ შემდეგი აქციონერი:

აქციონერი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
შპს „სმარტ კაპიტალ შილდა“	100%	100%

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის საბოლოო აქციონერები იყვნენ: მიხეილ ჩხარტიშვილი - 50% და ნათია ჩხარტიშვილი - 50%.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის საბოლოო აქციონერები იყვნენ: მიხეილ ჩხარტიშვილი - 50% და ნათია ჩხარტიშვილი - 50%.

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

შესაბამისობის განცხადება. ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბუკოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებითა და საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების კომიტეტის („IFRIC“) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციებით.

კონსოლიდაციის საფუძველი. შვილობილი კომპანიები ის კომპანიებია, რომელთაც დამფუძნებელი აკონტროლებს. წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შესულია კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. ჯგუფის შიდა ტრანზაქციები, ნაშთები, შემოსავალი და ხარჯები კონსოლიდაციისას ურთიერთიანდებიან. შვილობილი კომპანიების მოგებასა და ზარალში და წმინდა აქტივებში არასაკონტროლო წილები მოცემულია ცალკე და მოიცავს როგორც არასაკონტროლო წილის ღირებულებას იმ თარიღის მდგომარეობით, როდესაც თავდაპირველად მოხდა დაჯგუფება, ასევე კომპანიის თარიღიდან კაპიტალის ცვლილების არასაკონტროლო წილს.

მომზადების საფუძველი. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ეფუძნება ამ აქტივების სანაცვლოდ მიცემული ფასეული აქტივების სამართლიან ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რასაც მიიღებდა აქტივის მფლობელი აქტივის გაყიდვისას ან გადახდიდა ვალდებულების მფლობელი ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, ჯგუფი მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების

შპს „ქართული ვაზისა და ღვინის კომპანია“ და შვილობილები

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეებიც მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას შეფასების თარიღისთვის.

ფუნქციონირების უწყვეტობა. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმ დაშვებით რომ საწარმო ფუნქციონირებას განაგრძობს უწყვეტად და საბუღალტრო პოლიტიკების გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად.

ამ შეფასებისას ხელმძღვანელობამ განიხილა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე განზრახვები, ოპერაციები და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა და გააანალიზა ბაზრებზე არსებული ვითარების გავლენა ჯგუფის ოპერაციებზე.

უცხოური ვალუტა – ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა არის პირველადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც ჯგუფი მუშაობს. ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი ("ლარი"). უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავიდან ჯგუფის სამეურნეო ერთეულების მიერ აღირიცხება მათ შესაბამის სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული გაცვლითი კურსით. ყველა რეალიზებული და არარეალიზებული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება გაცვლითი სხვაობით, მოცემულია პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ლარი/1 აშშ დოლარი	2.8068	2.6894
ლარი/1 ევრო	2.9306	2.9753

ურთიერთჩათვლა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები იქვითება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება წმინდა თანხით იმ შემთხვევაში, თუ პირს გააჩნია იურიდიულად აღსრულებადი უფლება, გაქვითოს აღიარებული თანხები და განზრახული აქვს, აქტივი ჩათვალოს წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და დაფაროს ვალდებულება. შემოსავალი და ზარჯი არ იქვითება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშში, თუ ეს არ არის სავალდებულო ან ნებადართული რომელიმე საბუღალტრო სტანდარტით ან ინტერპრეტაციით და ინდივიდუალურად განმარტებული ჯგუფის საბუღალტრო პოლიტიკაში.

ქვემოთ მოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები.

შემოსავლების აღიარება - შემოსავალი მოიცავს ჯგუფის საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას საქონლის გაყიდვისთვის მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას. შემოსავალი ნაჩვენებია ნეტო თანხით, გაყიდვები/დამატებული ღირებულების გადასახადის, დაბრუნებების, ფასდაკლებებისა და ჯგუფის ელიმინაციების შემდეგ.

ჯგუფი აღიარებს შემოსავალს, როდესაც: შემოსავლის ოდენობა შეიძლება საიმედოდ შეფასდეს, სავარაუდოა, რომ მომავალი ეკონომიკური სარგებელი ექნება საწარმოს და როდესაც დაკმაყოფილებულია კონკრეტული კრიტერიუმები ჯგუფის თითოეული საქმიანობისთვის, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

ა) შემოსავალი საბითუმო ვაჭრობიდან

ჯგუფი აწარმოებს და ყიდის ღვინის პროდუქციის ასორტიმენტს საბითუმო ბაზარზე. შემოსავლის აღიარება ხდება საქონლის მიწოდების და გადაცემისას, რა დროს დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

- ჯგუფმა მყიდველს გადასცა საქონლის მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- ჯგუფი არ ინარჩუნებს მენეჯერულ ჩართულობას ისეთი ხარისხით, რაც ჩვეულებრივ ასოცირდება მფლობელობასთან და არ ინარჩუნებს კონტროლს გაყიდულ საქონელზე;
- შემოსავლის ოდენობის შეფასება სარწმუნოაა შესაძლებელი;

შპს „ქართული ვაზისა და ღვინის კომპანია“ და შვილობილები

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

- სავარაუდოა, რომ ტრანსაქციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს მოცემული პირი; და
- ტრანსაქციასთან დაკავშირებული გაწეული ან გასაწევი ხარჯების ოდენობის შეფასება სარწმუნოდაა შესაძლებელი.

ბ) შემოსავალი საცალო ვაჭრობიდან

ჯგუფი ახორციელებს ღვინის რეალიზაციის საცალო ობიექტებს. საქონლის გაყიდვები აღიარებულია, როდესაც ჯგუფის სუბიექტი ყიდის პროდუქტს მომხმარებელს, რადგან კონტროლი გადადის მომხმარებელს ტრანზაქციის განხორციელების დღეს. საცალო გაყიდვები ჩვეულებრივ ხდება ნაღდი ანგარიშსწორებით ან საკრედიტო ბარათით.

გადასახადები. მოგების გადასახადები ირიცხება საანგარიშგებო თარიღისათვის სრულად ან არსებითად ძალაში შესული ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. 2016 წლის მასში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით.

ადრე მოქმედი მოდელით კომპანიებს მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიშვებოდა. მოგების გადასახადის დარიცხვის ახალი მოდელი ჯგუფისათვის ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც რეალურ, აგრეთვე ნაგულისხმევ მოგების განაწილებას, მათ შორის:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც არაა კავშირში ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საქონლის/მომსახურების უფასო მიწოდება ან/და ფულადი სახსრების გადარიცხვა, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ აქტივობას; და
- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხული მოგებიდან გადასახადი აღიარდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების მომენტისათვის და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება „მოგებიდან გადასახადის“ ჯგუფში. მიმდინარე და წარსული პერიოდების მიმდინარე საგადასახადო აქტივი და საგადასახადო ვალდებულებები აისახება იმ თანხით, რომელიც, სავარაუდოდ უნდა გადაეხადოს საგადასახადო ორგანოებს ან მიღებულ იქნეს მათგან. სხვა კომპონენტებზე დაწესებული გადასახადი კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება ჯგუფში „საგადასახადო ხარჯები“.

ახალი კანონმდებლობის ამოქმედების შედეგად, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზამ დაკარგა ეკონომიკური მნიშვნელობა. ახალი კორპორატიული დაბეგვრის მოდელით ბასს 12 სტანდარტით - „მოგებიდან გადასახადი“ გათვალისწინებული გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები აღარ გამოიყენება.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც ღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა და სადაც საჭიროა გაუფასურების რეზერვი.

ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულება მოიცავს:

ა) შესყიდვის ფასს, მათ შორის იმპორტისა და შესყიდვის დაუბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო ფასდაკლებისა და ფასდათმობების გამოკლებით,

ბ) ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ ეკუთვნის აქტივის ადგილზე მითანასა და საოპერაციო მდგომარეობაში მოყვანას, როგორც ეს ხელმძღვანელობას აქვს განზრახული;

შპს „ქართული ვაზისა და ღვინის კომპანია“ და შვილობილები

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

გ) აქტივის დემონტაჟის, მოხსნისა და იმ ადგილის აღდგენის ხარჯების შეფასებას, სადაც განთავსებული იყო;

დ) იმ ვალდებულებას, რომელსაც ჯგუფი იღებს აქტივის შემენისას ან იმის გამო, რომ იგი გამოიყენა კონკრეტული პერიოდის განმავლობაში სხვა მიზნებისთვის, გარდა ამ პერიოდის მარაგების წარმოებისა;

ე) საკვალიფიკაციო აქტივებისთვის, სესხის აღების ხარჯები კაპიტალიზებულია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების ცვეთის კალკულაცია ხდება წრფივი მეთოდით, რათა ღირებულება განაწილდეს მათ სარგებლობის ვადაზე ნარჩენ ღირებულებამდე.

ხელმძღვანელობამ გადახედა და შეცვალა სასარგებლო საციცოხოლო ვადები 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის. შეფასებისას გათვალისწინებული იყო შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და მოვლაზე; და (გ) ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც გამოწვეულია ბაზრის პირობების ცვლილებებით:

- მანქანა-დანადგარების საწყისი სასარგებლო ვადები არ იყო შეფასებული;
- ჯგუფის ექსპერტთა და ტექნიკური პერსონალის ჯგუფმა შეაფასა თითოეული ძირითადი საშუალებების მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა. საოპერაციო ფაქტორებისა და მოვლის საფუძველზე განისაზღვრა ექსპლუატაციის ყველაზე რეალური თარიღები 2021 წლის 1 იანვრისთვის.

ჯგუფის ძირითადი საშუალებების ცვეთის ნორმები შემდეგია:

	2024	2023
შენობა-ნაგებობები	5%	5%
ავეჯი და მოწყობილობები	20%	20%
ოფისის აღჭურვილობა	20%	20%
მანქანა-დანადგარები	5-10%	5-10%
სხვა	20%	20%

ამორტიზირებული თანხა არის ძირითადი საშუალებების ღირებულება მისი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით. ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო თანხა, რომელსაც ჯგუფი მიიღება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან, რეალიზაციის სავარაუდო ხარჯების გამოკლების შემდეგ, თუ აქტივი უკვე გაცვეთილა და არის იმ მდგომარეობაში, რაც მოსალოდნელი იყო სარგებლობის ვადის ბოლოსთვის.

ნარჩენი ღირებულება, სარგებლობის ვადა და ცვეთის მეთოდი გადაიხედება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს. ნებისმიერი ცვლილების ეფექტი წინა შეფასებებთან ერთად განიხილება როგორც ბუღალტრული აღრიცხვის ცვლილება.

არამატერიალური აქტივები. არამატერიალური აქტივები წარმოადგენს პროგრამებსა და ლიცენზიებს.

აქტივები ამორტიზირდება წრფივი მეთოდით დადგენილი სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში. ჯგუფის მიერ ფლობილი არამატერიალური აქტივების სასიცოცხლო ვადად განსაზღვრულია 5 წელი.

აქტივების გაუფასურება - ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები ფასდება იმის დასადგენად, არის თუ არა რაიმე ნიშნები იმისა, რომ ამ აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს ნიშნები შესაძლო გაუფასურების შესახებ, ნებისმიერი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული აქტივის (ან დაკავშირებული აქტივების ჯგუფის) აღდგენადი თანხა შეფასებულია და შედარებულია მის საბალანსო ღირებულებას. თუ სავარაუდო აღდგენადი თანხა უფრო დაბალია, საბალანსო ღირებულება მცირდება მის სავარაუდო აღდგენად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებასა ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, მარაგის თითოეული ერთეულის (ან მსგავსი ნივთების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით მის გასაყიდ ფასთან, შესრულებისა და გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. თუ მარაგის ერთეული (ან მსგავსი ნივთების

შპს „ქართული ვაზისა და ღვინის კომპანია“ და შვილობილები

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება გაყიდვის ფასამდე, შევსებისა და გაყიდვის ხარჯების გამოკლებით და გაუფასურებით ზარალი აღიარებულია დაუყოვნებლივ მოგებასა ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შეიცვლება, აქტივის (ან დაკავშირებული აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი აღდგენად ღირებულების შესწორებულ შეფასებამდე (გაყიდვის ფასი გამოკლებული შევსებისა და გაყიდვის ხარჯები, მარაგების შემთხვევაში), მაგრამ არა იმაზე მეტად, ვიდრე აქტივისთვის (დაკავშირებული აქტივების ჯგუფის) წინა წლებში აღიარებული რომ არ ყოფილიყო აღიარებული გაუფასურების ზარალი. გაუფასურების ზარალის აღდგენად აღიარებულია დაუყოვნებლივ მოგებასა ან ზარალში.

მარაგები. მარაგები აღირიცხება ან თვითღირებულებით ან წმინდა რეალიზებადი ღირებულებით – იმის მიხედვით, ამ ორი ღირებულებიდან რომელიც უფრო დაბალია. მარაგების თვითღირებულება დგინდება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში სავარაუდო სარეალიზაციო ფასი, რომლიდანაც გამოქვითულია დასრულებისა და გაყიდვის სავარაუდო ხარჯები.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები - პირობითი ვალდებულებების აღიარება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ ხდება. ისინი განიმარტება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, თუ ეკონომიკური სარგებლის მატარებელი რესურსების გადინების შესაძლებლობა ნაკლებ სავარაუდო არაა. პირობითი აქტივების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემოდინების მოლოდინი რეალურია.

ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც პირი ხდება ინსტრუმენტების საკონტრაქტო პირობების მხარე.

ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავიდანვე აღიარებულია ტრანზაქციის ფასით (ტრანზაქციის ხარჯების ჩათვლით), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეთანხმება ფაქტობრივად წარმოადგენს ფინანსურ ტრანზაქციას საწარმოსთვის (ფინანსური ვალდებულებისთვის) ან კონტრაგენტისთვის (ფინანსური აქტივისთვის). შეთანხმება წარმოადგენს ფინანსურ ტრანზაქციას, თუ ანაზღაურება მოხდა ჩვეულებრივი ბიზნეს პირობების მიღმა, როგორცაა მაგალითად, უპროცენტო კრედიტის მიცემა მყიდველისთვის საქონლის გასაყიდად, ან ფინანსდება ისეთი საპროცენტო განაკვეთით, რომელიც არ არის საბაზრო განაკვეთი. თუ შეთანხმება წარმოადგენს ფინანსურ ტრანზაქციას, საწარმო ზომავს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას მომავალი გადახდების ამჟამინდელი ღირებულებით, დისკონტირებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით მსგავსი სასესხო ინსტრუმენტისთვის, როგორც ეს განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებით.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმო ფინანსურ გრძელვადიან სავალო ინსტრუმენტებს ზომავს ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. სასესხო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია როგორც მიმდინარე აქტივები ან მიმდინარე ვალდებულებები, ფასდება ფულადი სახსრების ან სხვა ანაზღაურების არადისკონტირებული თანხით, რომელიც მოსალოდნელია გადახდილი ან მიღებული.

ფინანსური აქტივები - ჯგუფის ძირითად ფინანსურ აქტივებს წარმოადგენს ფული, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება და გაცემული სესხები.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი - ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის სავალო ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო შემოსავლის განაწილების მეთოდი.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინებების (მათ შორის არის ყველა გადახდილი ან მიღებული საკომისიო და ქულა, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, ტრანზაქციის ხარჯებისა და სხვა პრემიუმების თუ ფასდამთმობების განუყოფელ ნაწილს), დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, ან თუ ეს მართებულია, უფრო მოკლე ვადაში.

შპს „ქართული ვაზისა და ღვინის კომპანია“ და შვილობილები

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
2024 წლის 31 დეკემბრისთვის
(ქართულ ლარში)

ფული და ფულის ექვივალენტები.

ფული მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში განთავსებულ თანხას.

გაცემული სესხები

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. სესხები და დებიტორული დავალიანება ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდით, გაუფასურების გამოკლებით.

სავაჭრო და დებიტორული დავალიანება

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების გაუფასურების ინდიკატორების შეფასება. ფინანსური აქტივები ითვლება გაუფასურებულად, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ მომხდარი ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად, გავლენა მოახდინა ინვესტიციის სავარაუდო მომავალ ფულად ნაკადებზე.

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების ზარალით რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. როდესაც დებიტორული დავალიანება ჩაითვლება ამოუღებელად, ის ჩამოიწერება რეზერვის ანგარიშზე. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება აღირიცხება რეზერვის ანგარიშზე. რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებები აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების საკონტრაქტო პირობების ვადის გასვლისას ან ამ ფინანსური აქტივისა და მის მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის სხვა მხარეზე გადაცემისას. შეწყვეტილი ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მიღებულ ანაზღაურებას შორის სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები - ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები შეიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებს და ნასესხებ სახსრებს.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯგუფის ვალდებულებები სრულდება, უქმდება ან ვადა გასდის. სხვაობა აღიარება-შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ ანაზღაურებას შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

შეტანილი კაპიტალი. შეტანილი კაპიტალი აღიარდება ჯგუფის მიერ მიღებული შენატანების სამართლიანი ღირებულებით.

3. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და შეფასების გაურკვევლობის ძირითადი წყაროები

სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას, რომლებიც აღწერილია შენიშვნაში #2, ხელმძღვანელობას ევალება შეფასებების, ვარაუდებისა და დაშვებების გაკეთება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების თაობაზე, რომლებიც სხვა წყაროებში მკაფიოდ არ ჩანს. შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ფაქტორებს. რეალური შედეგები შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს.

შპს „ქართული ვაჭისა და ღვინის კომპანია“ და შვილობილები

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების კორექტირება აღიარდება ამ კორექტირების გაკეთების პერიოდში, თუ კორექტირება მხოლოდ იმ პერიოდზე მოქმედებს, და აღიარდება კორექტირების და შემდგომ პერიოდებში, თუ კორექტირება მოქმედებს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

დებიტორული დავალიანების გაუფასურება - ჯგუფი ახორციელებს ინდივიდუალურ შეფასებას 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებული მომხმარებლის დებიტორული დავალიანებისთვის. მომხმარებლის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები, ალბათობა იმისა, რომ კლიენტი განიცდის გაკოტრებას ან ფინანსურ რეორგანიზაციას, და გადახდების შეუსრულებლობას ან ვადაგადაცილებას ითვლება დებიტორული დავალიანების პოტენციურად გაუფასურების ინდიკატორად.

ჯგუფმა აღიარა საექვო დავალიანების რეზერვი 100%-ით 1 წელზე მეტი ვადაგადაცილების მქონე ყველა დებიტორული დავალიანების მიმართ, რადგან ისტორიული გამოცდილებით 1 წლის ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანება არ არის ამოღებადი. 181 დღიდან 1 წლამდე ვადაგადაცილების მქონე დებიტორული დავალიანებისთვის აღიარებულია საექვო მოთხოვნების 50%-იანი რეზერვი, ხოლო 91 დღიდან 180 დღემდე ვადაგადაცილების მქონე დებიტორული დავალიანებისთვის - 20%-იანი რეზერვი. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან, თუ შეინიშნება ძირითადი მომხმარებლის კრედიტუნარიანობის გაუარესება ან ფაქტობრივი ნაკლოვანებები უფრო მაღალია, ვიდრე შეფასებები.

გადასახადები. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს სხვადასხვა ინტერპრეტაციისა და ხშირი ცვლილების შესაძლებლობა. გარდა ამისა, ტრანზაქციათა შეფასება საგადასახადო ორგანოებისა და ხელმძღვანელობის მხრიდან შეიძლება ერთმანეთს არ დაემთხვეს და ტრანსაქციები საგადასახადო ორგანოებმა ეჭვქვეშ დააყენოს. ამის გამო ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. საგადასახადო შემოწმებისათვის ღიაა 3 წელი.

4. ამონაგები

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლების განმავლობაში ჯგუფის ამონაგები იყო:

	2024	2023
შემოსავალი საბითუმო გაყიდვებიდან	2,847,931	3,628,744
შემოსავალი საცალო გაყიდვებიდან	188,330	273,496
სულ	3,036,261	3,902,240

5. ამონაგების თვითღირებულება

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლების განმავლობაში ჯგუფის ამონაგების თვითღირებულება იყო:

	2024	2023
საბითუმო გაყიდვების ხარჯი	2,276,759	3,503,523
საცალო გაყიდვების ხარჯი	181,511	241,449
სულ	2,458,270	3,744,972

შპს „ქართული ვაზისა და ღვინის კომპანია“ და შვილობილები

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

6. გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯი

2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში ჯგუფის გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები იყო:

	2024	2023
გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯი	388,868	698,822
ხელფასები და მათთან დაკავშირებული ხარჯები	169,007	203,266
ტრანსპორტირებისა და შეკეთების ხარჯები	80,400	66,132
სხვა დისტრიბუციის ხარჯები	16,219	42,611
სულ	654,494	1,010,831

7. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში ჯგუფის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები იყო:

	2024	2023
ხელფასები და მათთან დაკავშირებული ხარჯები	584,975	728,028
იჯარის ხარჯი	120,622	143,300
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	76,861	83,589
მივლინების ხარჯი	61,602	177,248
საბანკო ხარჯები	27,283	37,929
ქონების გადასახადის ხარჯი	29,518	25,028
საკონსულტაციო ხარჯი	27,702	22,383
დიზაინის ხარჯი	-	3,708
დებიტორული დავალიანების გაუფასურების ხარჯი/(გაუფასურების ხარჯის აღდგენა)	22,322	174,412
დაზღვევის ხარჯი	-	4,564
სხვა საოპერაციო ხარჯები	56,543	43,076
სულ	1,007,428	1,443,265

შპს „ქართული ვაზისა და ღვინის კომპანია“ და შვილობილები

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები(გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

8. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები შედგება მიწის, შენობა-ნაგებობის, მანქანა-დანადგარების, ავეჯისა და საოფისე აღჭურვილობისგან.

9. გაცემული სესხები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაცემული სესხების პირობები იყო შემდეგი:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სულ გაცემული სესხები	7,879,333	7,164,014
გაცემული სესხების მოკლევადიანი ნაწილი	-	-
გაცემული სესხების გრძელვადიანი ნაწილი	7,879,333	7,164,014

10. მარაგები

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგები იყო:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ნედლეული და შესაფუთი პროდუქცია	1,045,413	1,004,454
დაუსრულებელი წარმოება	2,622,589	2,759,047
მზა პროდუქცია	248,274	375,376
სხვა მარაგები	5,858	5,210
გამოკლებული: რეზერვი	(394,198)	(378,465)
სულ	3,527,936	3,765,622

11. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება იყო:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	1,985,641	2,145,569
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(452,753)	(491,824)
წმინდა სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება, წმინდა	1,532,888	1,653,745

მოძრაობა საექვო მოთხოვნების რეზერვებში იყო შემდეგი:

	2024	2023
ნაშთი წლის დასაწყისში	(491,824)	(341,279)
სავაჭრო მოთხოვნებზე აღიარებული გაუფასურების ხარჯი	(94,625)	(181,806)
ჩამოწერა	61,393	-
წინა პერიოდებში დარეზერვებული მოთხოვნების აღდგენა	72,303	31,261
ნაშთი წლის ბოლოს	(452,753)	(491,824)

შპს „ქართული ვაზისა და ღვინის კომპანია“ და შვილობილები

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

12. შეტანილი კაპიტალი

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეტანილმა კაპიტალმა შეადგინა 4,044,913 ლარი და 4,241,902 ლარი, შესაბამისად.

13. ნასესხები სახსრები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, დასაფარი ნასესხები სესხების პირობები იყო შემდეგი:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ნასესხები სახსრების მოკლევადიანი ნაწილი	12,766,204	2,051,849
ნასესხები სახსრების გრძელვადიანი ნაწილი	10,259,120	17,756,520
	23,025,324	19,808,369

ბანკიდან ნასესხები სახსრები უზრუნველყოფილია ჯგუფის ძირითადი საშუალებებით (იხ. შენიშვნა 8).

14. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება იყო:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოკლევადიანი		
კრედიტორული დავალიანება	9,250,857	10,215,912
მიღებული ავანსები	757,219	236,549
სხვა დავალიანება	18,437	19,236
სულ	10,026,513	10,471,697
გრძელვადიანი		
კრედიტორული დავალიანება	-	-
სულ	10,026,513	10,471,697

შპს „ქართული ვაზისა და ღვინის კომპანია“ და შვილობილები

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

15. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

თითოეული შესაძლო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება გამახვილებულია ურთიერთობის არსზე და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმაზე. ჯგუფს ჰქონდა შემდეგი ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან:

31 დეკემბერი 2024					
საბოლოო მშობელი კომპანია	საბოლოო აქციონერი	პირები ერთობლივ კონტროლქვეშ	სხვა დაკავშირებული მხარეები	სულ კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით	
გაცემული სესხები	6,100,528	-	-	1,778,805	7,879,333
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	1,504	49,576	372	1,121,103	1,172,555
ნასესხები სახსრები	9,394,892	186,950	1,640,096	4,087,440	15,309,378
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	19,765	-	13,545	8,684,243	8,717,553

2024					
საბოლოო მშობელი კომპანია	საბოლოო აქციონერი	პირები ერთობლივ კონტროლქვეშ	სხვა დაკავშირებული მხარეები	სულ კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით	
ამონაგები	6,294	105,781	4,337	912,370	1,028,782
ფინანსური შემოსავალი	458,487	-	-	101,227	559,714
ფინანსური ხარჯი	698,533	31,692	93,903	278,258	1,102,386

16. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები – 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ ჰქონია არსებითი პირობითი ვალდებულებები.

სამართლებრივი დავები. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი რაიმე მნიშვნელოვან სასამართლო დავაში არ მონაწილეობდა. ხელმძღვანელობის აზრით, მომავალში მნიშვნელოვანი ოდენობის დაურიცხავი ზარალის გაწევა მოსალოდნელი არ არის. შესაბამისად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში რეზერვი არ შექმნილა.

გადასახადები. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს სხვადასხვა ინტერპრეტაციისა და ხშირი ცვლილების შესაძლებლობა. გარდა ამისა, ტრანზაქციათა შეფასება საგადასახადო ორგანოებისა და ხელმძღვანელობის მხრიდან შეიძლება ერთმანეთს არ დაემთხვეს და ტრანსაქციები საგადასახადო ორგანოებმა ეჭვქვეშ დააყენოს. ამის გამო ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. საგადასახადო შემოწმებისათვის ღიაა სამი წელი.

საოპერაციო გარემო. საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება მეტად სხვადასხვა რისკებით, ვიდრე უფრო განვითარებული ბაზრები. ეს მოიცავს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებს. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდება და საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციებით ხასიათდება. საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც ძირითადად ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოების გეგმებს უკავშირდება. 2016-

შპს „ქართული ვაზისა და ღვინის კომპანია“ და შვილობილები

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

2021 განმავლობაში ჩატარებულ საკანონმდებლო ცვლილებებს ერთგვარად გზის გამკვლევის ფუნქცია ეკისრებოდა, საქართველო-ევროკავშირის დაახლოების სამოქმედო გეგმის პარალელურად მრავალი სხვა რეფორმა მოსალოდნელი.

2022 წლის 21 თებერვალს რუსეთის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა აღმასრულებელ ბრძანებას დონეცკის სახალხო რესპუბლიკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის აღიარების შესახებ. 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთი შეიჭრა უკრაინაში, რაც გადაიზარდა ქვეყნებს შორის სრულმასშტაბიან ომში.

ამ მოვლენების შემდეგ აშშ-მ, დიდმა ბრიტანეთმა, ევროკავშირმა და სხვა ქვეყნებმა გაახანგრძლივეს სანქციები რუსი ჩინოვნიკების, ბიზნესმენების და კომპანიების შესახებ. ასეთმა განვითარებამ რუსული ბიზნესებისთვის შეიძლება გამოიწვიოს საერთაშორისო კაპიტალისა და საექსპორტო ბაზრების ხელმისაწვდომობა, რუსული რუბლის შესუსტება, კაპიტალის ბაზრების კლება და სხვა უარყოფითი ეკონომიკური შედეგები.

ჯგუფის ხელმძღვანელობა აკვირდება ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებაში განვითარებულ მოვლენებს და იღებს ზომებს, რომლებსაც საჭიროდ მიიჩნევს ჯგუფის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარებისთვის უახლოეს მომავალში. თუმცა, ამ მოვლენების შედეგებმა და მასთან დაკავშირებულმა სამომავლო ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ჯგუფის ოპერაციებზე.

17. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის ბოლოს მნიშვნელოვანი მოვლენები არ ყოფილა.